სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

LLC Fertiberia-მ უნდა დაიწყოს საქონლის საკვების წარმოება სიმბოლურ ფასად მიღებულ მიწის ნაკვეთზე

მთავრობის განკარგულების თანახმად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 15 074 კვ მ მიწის ნაკვეთი შენობებით სოფელ წალასყურში (ქვემო ქართლის რეგიონი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი) გადაეცემა LLC Fertiberia-ს სიმბოლურ ფასად - 1 ლარად. აღნიშნულ ტერიტორიაზე კომპანიამ 2 წლის განმავლობაში უნდა დააარსოს საქონლის საკვების საწარმო. წლიურმა გამომუშავებამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 1 200 ტონა. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით LLC Fertiberia-მ (დაარსდა 2014 წელს) უნდა მოახდინოს მთლიანობაში 218 500 ლარის ინვესტირება. ამ თანხის 25%-ის ჩადება უნდა მოხდეს პირველ წელს.

Sarke Information News, 15.12.2015

USAID-ის პროექტმა ხელი უნდა შეუწყოს HACCP-ს და ISO-ს დანერგვას სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ და შესანახ საწარმოებში

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შესანახი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ბენეფიციარები მიიღებენ დახმარებას სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სტანდარტების და სისტემების (HACCP და ISO 22000: 2005) დანერგვაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ და USAID-ის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტმა (REAP) დღეს თბილისში ხელი მოაწერეს მემორანდუმს ტექნიკური დახმარების თაობაზე. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, REAP იღებს ვალდებულებას დააფინანსოს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების და სტანდარტების დანერგვის ხარჯების 50%. ასევე უზრუნველყოფს საწარმოების ჩართულობას სასწავლო პროგრამებში, გამოყოფს სპეციალურად საწარმოებისთვის ორგანიზებული ტრენინგების სრულ დაფინანსებას. თავის მხრივ, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო დააფინანსებს აღნიშნული ხარჯების 30%-ს, წარუდგენს REAP-ს იმ საწარმოებს, რომლებიც აპირებენ მონაწილეობა მიიღონ სერტიფიცირებასა ან ტრეინინგებში. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შესანახი საწარმოების თანადაფინანსების პროექტს 2014 წლიდან. სამინისტროს ინფორმაციით, 11 ახალი საწარმო დაფინანსდა პროექტის ფარგლებში, სახელმწიფომ დახარჯა 3,17 მილიონი აშშ დოლარი გრანტის სახით და 11%-იანი დამატებითი თანადაფინანსება გამოყო ბენეფიციარი კომპანიებისთვის შეღავათიანი აგროსესხების პროცენტების დასაფარად (საერთო რაოდენობა - 3,67 მილიონი აშშ დოლარი).

Sarke Information News, 14.12.2015

ლუდის მწარმოებლები ხელისუფლებისაგან მოითხოვენ ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებების სწრაფ შესრულებას

ლუდის აქციზი საქართველოში დაახლოებით 3-ჯერ უფრო ძვირია, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ევროკავშირის მინიმალური მოთხოვნით, მითითებულია სტატიაში. ლუდის მწარმოებლები მოუწოდებენ ხელისუფლებას დაჩქარებულ რეჟიმში შეასრულონ ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებები. „თუ ჩვენ ვიხდიდით აქციზს ლიტრების მიხედვით აქამდე, ასოცირების ხელშეკრულების დირექტივის საფუძველზე გადასახადი უნდა განისაზღვროს გრადუსის, ე.ი. ალკოჰოლის შემცველობის შესაბამისად, აცხადებს ლუდსახარში „ნატახტარის“ დირექტორი კორპორატიულ საკითხებში ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი და დასძენს: „შესაბამისად, ჩვენ გადავიხდით ნაკლებს ლუდზე ალკოჰოლის დაბალი შემცველობით". ამ ნორმის შესრულების ბოლო ვადაა 2017 წლის 1 სექტემბერი. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს წესი ამოქმედდეს 2016 წელს", განაცხადა ხუნძაკიშვილმა და რომ ეს არის იმ სამი კომპანიის პოზიცია, რომლებიც ბაზრის 95-97%-ს იკავებენ - „ნატახტარი“, „ზედაზენი“ და „კასტელ-საქართველო“. საპირისპირო ვითარებაა

თამბაქოს ბიზნესში, სადაც იმპორტიორები ცდილობენ დაარწმუნონ ხელისუფლება გრძელვადიანი გეგმის შექმნაზე, ნათქვამია სტატიაში. საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ამ სფეროში ევროპის საბჭოს დირექტივასთან 2011/64/UE უნდა დასრულდეს 2024 წელს. ამ დროისთვის აქციზის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1 000 სიგარეტზე საქართველოში უნდა იყოს 90 ევროს ეკვივალენტური, ამჟამინდელი 21 ევროს ნაცვლად. „ძალიან მნიშვნელოვანია მინიმუმ 12 წლის განსაზღვრა გარდამავალ პერიოდად. როგორც იცით, 1 იანვრიდან აქციზი იზრდება საკმაოდ მნიშვნელოვნად. სასურველია, რომ აქციზის განაკვეთი თანდათან და პროპორციულად იზრდებოდეს, ხოლო 2-3 წელიწადში ერთხელ გეგმა უნდა გადაიხედოს არსებული რეალობის გათვალისწინებით", აცხადებს თამბაქოს იმპორტიორი კომპანიის JTI Caucasus კომუნიკაციის სპეციალისტი ივანე ხასია. აღსანიშნავია, რომ ფიქსირებული კომპონენტის გარდა, ადვალორული გადასახადი (შემოღებულია 1 ივლისიდან) იზრდება მნიშვნელოვნად 2016 წლის 1 იანვრიდან - 5%-დან 10%-მდე. ხასია ამბობს, რომ ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს წესების რეგულირებას ამ მიმართულებით, მაგრამ საქართველოს ვალდებულების შესასრულებლად 5 წელი აქვს ნაკისრი. თამბაქოს კომპანიების წარმომადგენელთა განცხადებით, სიგარეტის გაძვირების შემდეგ მთავარი გამოწვევა სახელმწიფოსთვის იქნება „შავი ბაზარი" (გამოქვეყნდა 9 დეკემბერს).
Sarke Information News, 10.12.2015

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: მანდარინის საწარმოო გადამუშავების შემოსავალი შეადგენს 349 500 ლარს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული ინფორმაციით, მანდარინის გადამუშავების შედეგად მიღებული შემოსავალი შეადგენს 349 500 ლარს. აქედან, სახელმწიფო სუბსიდია შეადგენს 174 750 ლარს, აღნიშნეს სამინისტროში. 10 დეკემბრისთვის ქვეყნიდან ექსპორტზე გაიტანეს 9 281 ტონა სტანდარტული მანდარინი, ხოლო გადამუშავდა 1 747 ტ. სტანდარტული მანდარინი გაიტანეს ექსპორტზე რუსეთში (78,83% ან 7 387 ტ), უკრაინაში (12,95%), სომხეთში (4,27%), აზერბაიჯანში (1,52%), ყაზახეთში (1,4%), ბელარუსში (0,87%) და სხვა ქვეყნებში (0,16%).
Sarke Information News, 10.12.2015

უკონტროლო ვითარება თხილის ბიზნესში

ერთი კვირის წინ 1 კგ თხილი ღირდა 8,70 ლარი, მაგრამ ფასი უცებ დაეცა 2 დღის წინ 3-3,5 ლარით, წერს გაზეთი და დასძენს, რომ დღეს თხილი დასავლეთ საქართველოში ღირს 6,3 ლარი. თხილის შესყიდვის ცენტრები ზუგდიდში აცხადებენ, რომ ფასი შეიცვლება, მაგრამ ზედა ფასი არ ასცდება 9-10 ლარს, მაშინ როდესაც 12 ლარი იყო იმავე პერიოდში გასულ წელს. ერთ-ერთი შესყიდვის ცენტრის წარმომადგენელი ნოდარ ხორავა ამბობს, რომ „მოსავალი ცუდი ხარისხისაა და, ასე რომ ჩვენი მოგება არის უმნიშვნელო". როგორც წესი, 100 კგ თხილის ნედლეული უზრუნველყოფს 40 კგ დარჩეულ მასალას, მაგრამ „დაბალი ხარისხის გამო, ეს რაოდენობა შემცირდა 30-35 კგ-მდე. ამავე დროს, თხილის კარგი მოსავალი იყო თურქეთში და მისი ხარისხი ძალიან მაღალია", აღნიშნა მან. ინდმეწარმე ლადო გერგედავა მიუთითებს, რომ: „თხილის რეალიზაცია და ფასი შემცირდა", ხოლო „დაბალი ფასების გამო ხალხი ერიდება პროდუქციის გაყიდვას და ცდილობს შექმნას მარაგი". გერგედავა მიუთითებს მაღალ ინტერესზე თურქეთიდან და აღნიშნავს, რომ თურქეთის ბიზნესმა გააძლიერა ცოტა ხნის წინ საქმიანობა ზუგდიდში: „თურქები თითქმის ყველა თხილის ქარხნის უკან დგანან". ქართული თხილის ძირითადი ბაზარი ევროკავშირია (ძირითადად იტალია და გერმანია), მაგრამ ქართული პროდუქციის ცნობადობა მსოფლიო ბაზარზე არ არის ძალიან მაღალი, ასე რომ, სახელმწიფო დახმარება საჭიროა ამ დარგის პოტენციალის განსავითარებლად, წერს გაზეთი.
Sarke Information News, 09.12.2015

სასათბურე მეურნეობის გაფართოების პროექტი დაიწყო სამტრედიაში

საპარტნიორო ფონდმა დაიწყო ქართული Fresh Holding BV-ს სასათბურე მეურნეობის პროექტის გაფართოება სამტრედიაში (იმერეთის რეგიონი). ფონდის განცხადებით, პროექტის ღირებულება შეადგენს 4,2 მილიონ ევროს, აქედან ფონდის მონაწილეობა 1,4 მილიონ ევროს შეადგენს. პროექტი ითვალისწინებს სათბურის აგებას დამატებით 1,5 ჰა-ზე, სადაც დაახლოებით 700 ტონა სხვადასხვა ბოსტნეულის მოყვანაა დაგეგმილი. იმისათვის, რომ განვითარდეს სასათბურე მეურნეობა, Georgian

Fresh Holding BV-მა დააფუძნა LLC Imereti Greenery. თებერვლიდან კომპანიას მოჰყავს სხვადასხვა სახეობის სალათი სამტრედიის სასათბურე მეურნეობაში და მთლიანი წლიური რაოდენობა არის 160 ტ. ფონდში აღნიშნეს, რომ სასათბურე მეურნეობის გაფართოების მიზანია უხარისხო იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება, მაგრამ ასევე არსებობს მეზობელ ქვეყნებში ექსპორტის პოტენციალი. ახლა მეურნეობაში დასაქმებულია 23 ადამიანი და ეს რიცხვი გაფართოებას შემდეგ 40-მდე გაიზრდება.
Sarke Information News, 8 დეკემბერი, 2015

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სამეგრელოში სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის 7 პროექტი მიმდინარეობს
სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, რომ სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციის 17 პროექტი სამეგრელოს რეგიონში უკვე მიყვანილია ბოლომდე 2012 წლიდან, რის შედეგადაც დამშრალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი რეგიონში 16 000 ჰა-მდე გაიზარდა. 5 მილიონზე მეტი ლარი დაიხარჯა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სამეგრელოში, აღნიშნავენ სამინისტროში და დასძენენ, რომ ამჟამად 7 სარეაბილიტაციო პროექტი ხორციელდება. მათ შორის, პირველ ეტაპზე მოხდება ჭალადიდის სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია რიონის და ხობის მდინარეების ტერიტორიებს შორის. შპს საქართველოს მელიორაციის ცნობით, მას შემდეგ, რაც სრულად აღდგება ჭალადიდის სანიაღვრე სისტემები, სავარაუდოდ, 2017 წლისთვის, ხობის მოსახლეობა შეძლებს გამოიყენოს 2 250 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის 26 პროექტი მიმდინარეობს საქართველოს მასშტაბით.
Sarke Information News, 07.12.2015

სახელმწიფო შპს „მექანიზატორი“ მიიღებს 4 მლნ ლარს
მთავრობის განკარგულებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებებიდან 4 მილიონი ლარი უნდა გადაეცეს სახელმწიფო შპს „მექანიზატორს“. ამის მიზანია „მექანიზატორის“ მიერ სამეურნეო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების დაფინანსება და ასევე მოიცავს იმ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშვა 2015 წელს. განკარგულება საშუალებას აძლევს „მექანიზატორს“ შეიძინოს სათადარიგო ნაწილები (მათ შორის საბურავები) და საპოხი მასალები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისთვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.
Sarke Information News, 04.12.2015

სოფლის მეურნეობის სამინისტრო გახსნის ახალ ლაბორატორიას აშშ-ს დახმარებით
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი ლაბორატორიის შენობა გაიხსნა დუშეთში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი). სამინისტროს განცხადებით, პროექტს სრულად უჭერს მხარს აშშ-ს Defense Threat Reduction Agency (DTRA). გახსნის ცერემონიალზე გამოსვლისას აშშ-ის ელჩმა იან კელიმ აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 5 ლაბორატორია აღიჭურვა აშშ-ს დახმარებით. ამჟამად ქვეყნის 11 ლაბორატორიის შენობა უკვე განახლებულია და უზრუნველყოფილია მსოფლიო დონის ტექნიკით და სადიაგნოსტიკო საშუალებებით, განაცხადეს სამინისტროში.
Sarke Information News, 04.12.2015

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: ახალი ბაღები გაშენდება 266,4 ჰექტარზე შიდა ქართლში
სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ ახალი ბაღები გაშენდება 266,4 ჰა ფართობზე ქარელის, გორისა და კასპის რაიონებში შიდა ქართლის რეგიონში. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამის „დანერგე მომავალი" ფარგლებში დაფინანსება გაიცა 32 ბენეფიციარზე, აცხადებენ სამინისტროში. სამინისტროს ბოლო მონაცემებით, ახალი ბაღების გასაშენებლად და სარწყავი სისტემის მოსაწყობად მიწის ფართობი ქვეყნის მასშტაბით შეადგენს 573 ჰა-ს, ხოლო დაფინანსების მოცულობა აღემატება 3 მლნ ლარს. სამინისტროს განცხადებით, 15 მილიონი ლარი დაიხარჯება პროექტის „დანერგე მომავალი" განხორციელებაზე 2 წლის

განმავლობაში, რაც ითვალისწინებს თანამედროვე ბაღების გაშენებას 1000-1200 ჰა ფართობზე და 30-40 თანამედროვე სანერგე მეურნეობის ჩამოყალიბებას.
Sarke Information News, 04.12.2015

ორი ახალი საწარმო უნდა გაიხსნას პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში
დღეს გამართულ შეხვედრაზე ხელისუფლებამ დაამტკიცა ორი საწარმოს პროექტი სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში. პირველი არის კვების პროდუქტების ფაბრიკა, რომელიც დაარსდება ტიბაანში სოფელ სიღნაღის მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი). ამ მიზნით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები გადაეცემა კომპანიას „კამარა ექსპრესი“ სიმბოლურ ფასად - 1 ლარად. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცნობით, პროექტის ინვესტიცია შეადგენს 100 000 ლარს. სამინისტრო აღნიშნავს, რომ ქარხანა დაასაქმებს 15 ადამიანს და პროდუქცია გაიგზავნება ექსპორტზე გერმანიაში, სლოვაკეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში და პოლონეთში. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „კამარა ექსპრესი“ რეგისტრირებული იყო თბილისში 2009 წელს. მისი ერთადერთი მფლობელია შპს „საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრი“, ხოლო დირექტორია გულნარა სეთურიძე (აზერბაიჯანი). მეორე პროექტი ითვალისწინებს თხევადი ჟანგბადის ქარხნის გახსნას თბილისში, რისთვისაც კომპანია „მედ პროექტმა“ მიიღო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები ასევე 1 ლარად. ინვესტიციები საწარმოში, რომელიც დაასაქმებს 10 ადამიანს, აღემატება 700 000 ლარს და წარმოება უნდა დაიწყოს 2 წლის განმავლობაში, განაცხადეს სამინისტროში. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „მედ პროექტი“ რეგისტრირებულია თბილისში 2011 წელს. მისი მფლობელები არიან რეზიდენტი კერძო პირები, ხოლო უდიდესი წილი (33%) ეკუთვნის ზვიად კვირიკაძეს. კომპანიის დირექტორია გიორგი რაზმაძე.
Sarke Information News, 03.12.2015

2016 წლის განახლებული ბიუჯეტის პროექტი: სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება გაიზარდა 40 მლნ ლარით
2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განახლებული პროექტით სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 321,4 მლნ ლარს. როგორც აღინიშნა, თანხა გაიზარდა 40 მილიონი ლარით წინა წელთან შედარებით. აქედან, 41 მილიონი ლარი იქნება გამოყოფილი შეღავათიანი აგროკრედიტისთვის (შედარებისთვის, თავდაპირველი ვერსიით გათვალისწინებული იყო 50 მილიონი ლარი, ხოლო 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით - 36 მლნ ლარი). 9 მილიონი ლარია გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაზე (შედარებისთვის, 2014 წლის ბიუჯეტით (როდესაც პროგრამა დაიწყო) გათვალისწინებული იყო 5 მილიონი ლარი, ხოლო 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით - დაახლოებით 10 მილიონი ლარი). რთველის მხარდაჭერა ისევ გათვალისწინებული იქნება და დაფინანსდება 25 მილიონი ლარით, ისევე, როგორც მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების დახმარება 48 მილიონი ლარით. 23 მილიონი ლარი იქნება გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კრედიტების და იჯარის დასაფარად, ხოლო სოფლის მეურნეობის კოოპერატივების დახმარებისთვის დაიხარჯება 7 მილიონი ლარი. მელიორაციისა და სარწყავი სისტემების განვითარების დაფინანსება 63 მილიონ ლარს შეადგენს.
Sarke Information News, 03.12.2015

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

სომხეთი გეგმავს ცხვრის და თხის ექსპორტს იორდანიაში
სომხეთის სურსათის უვნებლობის სახელმწიფო სამსახურის უფროსს არმენ აირაპეტიანს ჰქონდა შეხვედრა იორდანიის დელეგაციასთან, რომელზეც განიხილეს ცხვრის და თხის ექსპორტის პერსპექტივები ჰაშიმიტის სამეფოში და სხვა არაბულ ქვეყნებში. აირაპეტიანმა განაცხადა, რომ მეცხოველეობას სომხეთში დიდი პოტენციალი აქვს და რომ ხელისუფლება დგამს ნაბიჯებს, რათა

გააფართოვოს ექსპორტის შესაძლებლობები და გამოაცოცხლოს ეს სექტორი. იორდანიის სოფლის მეურნეობის ექს-მინისტრმა საიდ ალ-მასრმა სამინისტროს პრეს-რელიზის თანახმად განაცხადა, რომ მისი ქვეყანა დაინტერესებულია ცხვრის და თხის ექსპორტის გაზრდით სომხეთიდან. მხარეებმა განიხილეს იორდანიაში ცხვრის და თხის ექსპორტზე პირდაპირი მოლაპარაკებების საჭიროება. აღინიშნა ასევე, რომ ორი ქვეყნის უფლებამოსილი სააგენტოები შუამავლის როლს შეასრულებენ კომერციულ ორგანიზაციებს შორის.
ARKA, 4.12.2015

ტენდერები და განცხადებები

ტენდერი: კონსალტინგი, ENPARD – პროგრამის საზოგადოებრივი ეფექტურობა
გათვალისწინებულია: ENPARD – პროგრამის კომუნიკაციური ფორმატის გაუმჯობესების ტექნიკური დახმარება სოფლის მეურნეობის და ზოგადად სოფლის განვითარებისათვის.

პუბლიკაციები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2015 წლის ნოემბრის #39 გამოცემა
საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე.

http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი
ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე: **http: eeas.europa.eu/delegations/georgia/**.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან
სიახლეები იხ. ამ ბმულზე: **www.enpard.ge**

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებების ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
www.nfa.gov.ge/files/images/

DWV & AGRICULTURE
თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:
www.dwvg.ge

Agro & Food Up-to-Date
Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტებზე.
http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/
http://georgien.ahk.de/armenien/newsletter/agro-food-news-armenia/